რობოტიკის კლუბის უსაფრთხოების წესების გაცნობისა და პასუხისმგებლობის ფურცელი

IV–VI კლასების მოსწავლეებისთვის

სკოლის სახელწოდება: სსიპ ქალაქ აბაშის ნოღოხაშის საჯარო სკოლა

კლუბის სახელწოდება: რობოტიკის კლუბი / “ტექნოლოგიკა”

სასწავლო წელი: 2026-2027 სას.წ.

მოსწავლის სახელი და გვარი: _____

კლასი: ☐IV ☐V ☐VI

წესების გაცნობის თარიღი: 02/X/2026

1. ზოგადი უსაფრთხოების პრინციპები

რობოტიკის კლუბის პრაქტიკული საქმიანობა მოიცავს რობოტულ კონსტრუქტორებთან, პროგრამირებად მოწყობილობებთან, ელექტრონიკის სასწავლო კომპლექტებთან, სენსორებთან, კომპიუტერულ ტექნიკასთან, სხვადასხვა საინჟინრო მასალასა და საკანცელარიო რესურსებთან მუშაობას. თითოეული მოსწავლე ვალდებულია დაიცვას უსაფრთხოების წესები, მასწავლებლის ინსტრუქციები და პასუხისმგებლობით მოეპყროს როგორც საკუთარ, ისე თანაგუნდელთა უსაფრთხოებას.

☐ პრაქტიკულ საქმიანობას ვიწყებ მხოლოდ კლუბის ხელმძღვანელის მითითებისა და დავალების გაცნობის შემდეგ.

☐არ ვიყენებ მოწყობილობას, კომპონენტს ან ინსტრუმენტს, რომლის დანიშნულება ან გამოყენების წესი არ ვიცი.

☐არ ვეხები სხვის პროექტს, მოწყობილობას ან სამუშაო მასალას ნებართვის გარეშე.

☐ სამუშაოს შესრულებისას ვიცავ სიმშვიდეს, წესრიგს და არ ვქმნი ისეთ სიტუაციას, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს ან საფრთხე შეუქმნას სხვას.

☐ნებისმიერი გაუმართაობის, დაზიანების, უჩვეულო გათბობის, სუნის, ნაპერწკლის ან სხვა საეჭვო შემთხვევის შესახებ დაუყოვნებლივ ვაცნობებ კლუბის ხელმძღვანელს.

2. ელექტრონულ და პროგრამირებად მოწყობილობებთან მუშაობა

☐ ელექტრონულ კომპონენტებს, სენსორებს, ძრავებსა და პროგრამირებად მოწყობილობებს ვაერთებ მხოლოდ ინსტრუქციის შესაბამისად.

☐არ ვცვლი შეერთებებს, კვების წყაროს ან სხვა ელექტრულ კავშირს თვითნებურად, თუ ეს არ არის დავალების ნაწილი და მასწავლებლის მიერ ნებადართული.

☐მოწყობილობასთან მუშაობისას ხელები უნდა იყოს სუფთა და მშრალი; წყალსა და სხვა სითხეებს სამუშაო ტექნიკასთან ახლოს არ ვათავსებ.

☐ დაზიანებული კაბელი, კონექტორი, ბატარეა ან სხვა კომპონენტი არ გამოიყენება და გადაეცემა კლუბის ხელმძღვანელს.

☐აკუმულატორებსა და ბატარეებს ვიყენებ მხოლოდ შესაბამისი მოწყობილობისთვის და მასწავლებლის მითითების შესაბამისად.

☐ კლუბის ტექნიკურ ინვენტარს არ ვშლი და არ ვაკეთებ ისეთ ცვლილებას, რომელიც სასწავლო დავალებით არ არის გათვალისწინებული.

3. სამუშაო სივრცე, მცირე დეტალები და საკანცელარიო ნივთები

☐ სამუშაო მაგიდას ვინარჩუნებ მოწესრიგებულად; გამოყენებულ დეტალებსა და ხელსაწყოებს სამუშაოს დასრულების შემდეგ ვაბრუნებ განსაზღვრულ ადგილას.

☐ მცირე დეტალებს არ ვდებ პირში, არ ვისვრი და არ ვიყენებ სათამაშოდ.

☐ მაკრატელს, წებოსა და სხვა საკანცელარიო საშუალებებს ვიყენებ მხოლოდ დანიშნულებისამებრ.

☐ ბასრი, ცხელი ან სხვა მომატებული რისკის შემცველი ხელსაწყო გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც ამას უშუალოდ აკონტროლებს პასუხისმგებელი ზრდასრული.

☐ სამუშაო სივრცეში არ ვირბენ, არ ვიბიძგები და არ ვასრულებ ისეთ მოქმედებას, რომელმაც შეიძლება დააზიანოს ადამიანი, მოწყობილობა ან პროექტი.

4. მეორეული მასალებისა და გარემოსდაცვითი პროექტების უსაფრთხოება

კლუბში შესაძლებელია მეორეული და ხელმისაწვდომი მასალების გამოყენება შემოქმედებითი, საინჟინრო და გარემოსდაცვითი პროექტებისთვის. ასეთი მასალების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი სუფთა, უსაფრთხო და ასაკისთვის შესაბამისია.

☐ ვიყენებ მხოლოდ სუფთა და უსაფრთხო მეორეულ მასალებს, რომლებიც წინასწარ არის შერჩეული ან დამტკიცებული კლუბის ხელმძღვანელის მიერ.

☐ არ ვიყენებ გატეხილ მინას, დაჟანგებულ ან ბასრ ლითონს, უცნობ ქიმიურ ნივთიერებებს, დაბინძურებულ შეფუთვებს, სამედიცინო ნარჩენებს ან სხვა საფრთხის შემცველ მასალას.

☐ მასალების ხელახალი გამოყენებისას ვითვალისწინებ ჰიგიენის, უსაფრთხოებისა და გარემოზე პასუხისმგებლიანი ზრუნვის პრინციპებს.

☐ სამუშაოს დასრულების შემდეგ ნარჩენებს ვახარისხებ და სამუშაო სივრცეს ვტოვებ სუფთად.

5. კომპიუტერული და ციფრული უსაფრთხოება

☐ კომპიუტერს, პლანშეტს ან სხვა ციფრულ მოწყობილობას ვიყენებ მხოლოდ სასწავლო დავალებისთვის.

☐ ვხსნი მხოლოდ მასწავლებლის მიერ მითითებულ ან სასწავლო მიზნისთვის საჭირო პროგრამებსა და ვებგვერდებს.

☐ არ ვაზიარებ პაროლებს, პირად მონაცემებს ან სხვა მოსწავლის ინფორმაციას.

☐ უცხო ფაილის, ბმულის ან პროგრამის გახსნამდე, თუ მისი უსაფრთხოება არ ვიცი, ვეკითხები კლუბის ხელმძღვანელს.

☐ პატივს ვცემ სხვის ციფრულ ნამუშევარს და არ ვშლი, არ ვცვლი და არ ვაკოპირებ მას ნებართვის გარეშე.

6. გუნდური მუშაობა და პასუხისმგებლობა

☐ ვუსმენ გუნდის წევრებს, პატივს ვცემ მათ აზრს და უსაფრთხოდ ვანაწილებ საერთო სამუშაოს.

☐ გუნდური პროექტისას ჩემს ფუნქციას პასუხისმგებლობით ვასრულებ და საჭიროების შემთხვევაში ვითხოვ დახმარებას.

☐ არ ვიყენებ რობოტს ან სხვა მოძრავ მოწყობილობას ადამიანის, ცხოველის ან ქონების დასაზიანებლად ან დასაფრთხობად.

☐ პრობლემის წარმოშობისას ვწყვეტ სამუშაოს და საკითხს კლუბის ხელმძღვანელთან ერთად ვარკვევ.

☐ შეჯიბრებებისა და ოლიმპიადების დროს ვიცავ როგორც კლუბის, ისე კონკრეტული ღონისძიების უსაფრთხოების წესებს.

7. ინციდენტის ან დაზიანების შემთხვევაში

☐ ტრავმის, დამწვრობის, ელექტრონული მოწყობილობის დაზიანების ან სხვა ინციდენტის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ვწყვეტ მუშაობას და ვაცნობებ კლუბის ხელმძღვანელს.

☐ არ ვცდილობ დაზიანებული ელექტრონული მოწყობილობის, კვების წყაროს ან სხვა კომპონენტის დამოუკიდებლად შეკეთებას.

☐ ინციდენტის შემდეგ მუშაობას ვაგრძელებ მხოლოდ კლუბის ხელმძღვანელის ნებართვით.

8. მოსწავლის დადასტურება

ხელმოწერით ვადასტურებ, რომ გავეცანი რობოტიკის კლუბის უსაფრთხოების წესებს, ჩემთვის გასაგებია მათი მნიშვნელობა და ვიღებ ვალდებულებას, კლუბის შეხვედრების, პროექტების, დემონსტრაციების, ოლიმპიადებისა და სხვა დაკავშირებული აქტივობების დროს დავიცვა ზემოაღნიშნული მოთხოვნები და კლუბის ხელმძღვანელის დამატებითი ინსტრუქციები.

მოსწავლის სახელი და გვარი: _____

მოსწავლის ხელმოწერა: _____

თარიღი: 02/X/2026

9. მშობლის / კანონიერი წარმომადგენლის დადასტურება

ვადასტურებ, რომ გავეცანი რობოტიკის კლუბის უსაფრთხოების ძირითად მოთხოვნებს და ჩემს შვილთან ერთად განვიხილე აღნიშნული წესების დაცვის აუცილებლობა.

მშობლის / კანონიერი წარმომადგენლის სახელი და გვარი: _____

ხელმოწერა: _____

თარიღი: 02/X/2026

10. კლუბის ხელმძღვანელის დადასტურება

ვადასტურებ, რომ მოსწავლეს მისთვის გასაგები ფორმით გავაცანი უსაფრთხოების წესები, პრაქტიკული მუშაობის ძირითადი მოთხოვნები და საჭიროების შემთხვევაში მივეცი დამატებითი განმარტებები.

კლუბის ხელმძღვანელის სახელი და გვარი: ნატალია გელიტაშვილი

ხელმოწერა: _____

თარიღი: 02/X/2026